წელიწადი 1-ლი № 13

რედაქციის მისამართი პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვისა „ძმობის" სტამბაში. ქ. ქუთაისი

ხუთშაბათი 17 აგვისტო 1917

რედაქტორი:
პატო მიქელაძე

გამომცემელი
ქალთა კლუბი

მარქსის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

30

გაზეთის ფასი:		განცხადებების ფასი:	
1 წლით	6 მ.	პირველ გვ. პეტიტი	25 კ.
6 თვით	3 მ. 50 კ.	უკანასკნელ გვერ.	15 კ.
1 ნახ. თვ	1 მ. 80 კ.	სამგლოვიარო გან-	
1 თვით	80 კ.	ცხადება	5 მ.

ხმა
ქართველი ქალისა

ფასი 10 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 10 კ.

ქალებო, დაიცავით საარჩევნო უფლება!

პარტიული მტაცებლები

მაისის პირველ რიცხვებში დ. ლანირის ორ კლასიან სასწავლებლის მასწავლებელ ქალს მ. ამაღლობელს თავისი სკოლის ბავშებისათვის გამოუცხადებია, რომ შეეგროვებიათ თავიანთი წვლილი ქალთა გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა" ფონდის გასაძლიერებლათ. ბავშებს სიამოვნებით თანხმობა გამოუცხადებიათ და მეორე დღესვე მოუტანიათ 40 მანეთი და რაღაც კაპეიკები. მასწავლებელ ქალს ეს ფული უფროსი მოწაფე ქალებისათვის გადაუცია იმ აზრით, რომ მათ თვითონვე გაეგზავნათ ეს ფული რედაქციისათვის. ამ დროს შემობრძანებულა სკოლაში ზედამხედველი სასწავლებლისა მელქისედეკ ბალავაძე და უკითხავს თუ რისთვის იყო დანიშნული ამ ფულის შეგროვება. მასწავლებელ ქალს მოუხსენებია მისთვის, რომ ეს ფული ეგზავნება ჩვენს რედაქციას. ბატ. ბალავაძე ერთობ შემწყრალა, თუ როგორ გაბედეს და ფული მისი დიდი პერსონისა და კომისარის დაუკითხავად შეაგროვეს. ეს ამბავი მას მსწრაფლ კომისარისთვის უცნობებია. კომისარს მილიციისათვის და უკანასკნელიც შემოსულან სკოლაში და მასწავლებელ ქალისათვის მიუმართავთ საყვედურით, რომ მას ნება არ ჰქონდა მათ დაუკითხველად ფულის შეგროვებისა.

კომისარს ეს ფული ბავშებისათვის ჩამოურთმევია და ამ გვარად ორ თავე სატრაპებს ბალავაძესა და კომისარს რუხაძეს თავიანთი მოვალეობა შეუსრულებიათ. ამაღლობელის ქალი მოვიდა ჩვენს რედაქციაში და გვამცნო ეს ამბავი. გუბერნიის კომისარის გრ. გიორგაძის რჩევით რედაქციამ ის გაგზავნა მაზრის უფროსთან. მაზრის უფროსის თანაშემწემ, აღუთქვა მას, რომ გაგზავნის ქალაღდს ლანირში და მოსთხოვს კომისარს ფულის რედაქციისათვის დაბრუნებას. მას აქედ თითქმის ერთი თვეა და ფული კი არა სჩანს.

ერთი კვირის წინათ შემოვიდა ჩვენთან მასწავლებელი ქალი ლანირის სკოლისა და გვამცნო შემდეგი: მე ვიყავ ლანირში ვნახე პირადათ კომისარი და როცა დავეკითხე უგზავნის თუ არა ის ფულს რედაქციას შემდეგი პასუხი მომცა:

„მიუხედავათ იმისა, რომ მაზრის უფროსიდან ქაღალდი მივიღე ფულს რედაქციას მაინც ვერ გაუგზავნით„.

— რათვის? დაკითხებია ამაღლობელის ქალი.

— „მისთვის, რომ ჩვენ კრება გქონდა და უმრავლესობამ გადასწყვიტა ეს ფული სკოლას შეეწიროს."

ამ გვარი პასუხით გამოუსტუმრებია ბ. კომისარს ჩვენი ამხანაგი ქალი.

ბატ. ბალავაძის და კომისარ რუხაძეს ჩვენი გაზეთი პარტიულ გაზეთად მოუნათლავთ და აღნიშნულ კრებაზე დამსწრე პირთა გადმოცემით ხალხს ერთ ხმათ უარი განუცხადებიათ რაიმე დახმარების აღმოჩენა ფედერალისტების გაზეთისათვის. დღეს ეს საქმე მუშათა საბჭოს და ჯარის კაცთა დეპუტატებს, განსახილველად გადაეცა. ბატონი ბალავაძეს ამ საქმისათვის პასუხს ჩვენ კიდევ სხვა გზით მოვსთხოვთ. ნუ თუ ასეთი დაბრმავებული პარტიული შურიანობით და კინკლიობით ადამიანი, რომელიც ამ საერთო თავისუფლების დროს ბედავს კერძო ინიციატივის შესზღუდვას, უნდა უდგეს სათავეში ჩვენი სოფლის მოზარდი თაობის აღზრდა განვითარებას?!

რედაქცია.

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა.

პირველ ყოფილი დედაკაცი თავისი ფიზიკური ძალით, რომ მამაკაცზე სუსტი არ იყო, ამას თვით პირველ ყოფილი მატრიარქატის არსებობა ამტკიცებს, რადგან ძნელი წარმოსადგენია რომ სუსტი უძლური და თანაც მცირე რიცხოვანი სქესი თვისზე ძლიერსა და მრავალ რიცხოვანს სქეს სოციალურ ცხოვრებაში გაბატონებოდა. მით უმეტეს მაშინ, როცა ძველი გადმოცემები და მითები მრავალ გმის ქალებზე მოგვითხრობენ ამაზონკების გარდა სხვებიც იყვნენ ცნობილნი თავიანთი სიმარდე, სიძლიერით, მაგალითად ძველი რუსის ბილინები მრავალ შესანიშნავ მოისრე ქალებს ასახელებდენ. თვით ისტორიულ ხანაშიაც კი არსებობდა ქალთა ლაშქარი, რომელიც თავის სიმამაცით მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდა.

თვით ამაზონკების ბრძოლა წარმოადგენდა ბრძოლას უკანასკნელ ღონიერ დედაკაცთა, რომლის გამო წარმოსადგენია, რომ მათი თანამემამულე წინა მოდგმანი უფრო ძლიერი და ღონიერი იქნებოდა. და თუ პირუტყვთა შორის ეგ ძალა დედლებმა შეინარჩუნეს და ადამიანთა შორის კი დედაკაცი ფიზიკურად დაუძლურდა, ამის მიზეზი დევს პირველად იმ უწესო და ზედ-მეტ სქესიურ კავშირში, რომელიც პირველ ყოფილ პოლიანდრიულ საზოგადოებაში არსებობდა და შემდეგ ისტორიულად ამ ორ სქესთა შორის შრომის დანაწილებაში და სპეციალურ აღზრდა ცხოვრებაში.

სანამ ცარიელი ინსტინქტიით ცხოვრობდა ადამიანი და მარტო ერთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება იზიდავდა სქესობრივად მამაკაცს დედაკაცისადმი და სიყვარულის ესთეტიკური გრძნობიერება გაღვიძებული არ იყო, სქესობრივი მოთხოვნილება ორგანიულ ძალასთან დაკავშირებული თავ-შეუკავებელი და დაუზოგველი იყო, რასაც თავისი ცუდი გავლენა უნდა მოეხდინა იმ დროინდელ რიცხვით მცირე დედაკაცებზე. ამასთან თუ მივაღებთ მხედველობაში პირველ ყოფილ [illegible] დედაკაცის უმწეო მდგომარეობას, თუ რა ცუდს პირობებში უხვდებოდა მას ამ უდიდესი ფიზიოლოგიური აქტის შესრულება, ჩვენ ნათლად დავინახავთ პირველ მიზეზს დედაკაცის ფიზიკურად შესუსტებისას.

მატრიარქატის დროს დედაკაცი იყო უმთავრესი მარჩენალი, უმთავრესი მებრძოლი ბუნებასთან, მან დაღვარა პირველი ოფლი მიწაზე, მან დაამუშავა და გამოაღებინა მას პირველი ნაყოფი, რომელსაც სახელად დედა მიწა ეწოდა, შვილები ღებულობდენ მის სახელს, მის მემკვიდრეობას და არავითარ კავშირს არა ხედავდენ მამებთან. გეზიოდის გადმოცემით მამაკაცი თვით სიბერემდე ცხოვრობდა თავის გონიერ დედის ოჯახში მატრიარქატის დროს და როგორც მოზრდილი ბავში ღებულობდა სარჩოს დედის ოჯახიდან. და როგორც სამართლიანათ შენიშნავს ცნობილი ფრანგი სოციალისტი პოლ ლაფარგი ის ბავშის ტვინი, რომელსაც დღეს ქალებს გვასაკუთრებენ ქალთა უფლების მტერნი, თვით მათი საკუთრება ყოფილა პირველ ყოფილ საზოგადოებაში. რომ პირველ ყოფილ დედაკაცის შრომის უნარი არა, ირსებდა თუ არა კაცობრიობის ჯიში, ეს კიდევ დიდი საკითხია.

პირველ ყოფილ დედაკაცის გონიერებას თავის თანამედროვე მამაკაცზე ამტკიცებს, თვით პირველ ყოფილი სარწმუნოება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ქვეყნისა, სადაც პირველად ხალხი თაყვანსა სცემდა არა ვაჟ-ღმერთებს, არამედ ქალ ღმერთებს. რისთვის იყო ეს, თუ არ მისთვის, რომ ერთად ერთი მფარველი და. პატრონი მოდგმისა მხოლოდ დედაკაცები იყვნენ. რამდენათაც მათში ზნეობრივი გრძნობა უფრო ადრე იყო გაღვიძებული დედობრივი სიყვარულისა გამო. მაშინ როდესაც მამაკაცს წარმოდგენაც არა ჰქონდა იმ დროს ვისმესთვის მზრუნველობაზე და წინ დახედულობაზე. ის იმდენათ ფიქრობდა თავის საკუთარ თავზედაც რამდენათაც მას დღიური სარჩო მოაკლდებოდა. პირველ ყოფილ ადამიანის სიზარმაცეს ამტკიცებს როგორც თანამედროვე ფილოსოფოსები, ისე ეტნოგრაფები და ამ ორ ზარმაცთა შორის, რომ უფრო მეტი ზარმაცი და უდარდელი მამაკაცი იქნებოდა, ვიდრე დედაკაცი ამის მაგალითს გვიჩვენებს, როგორც ველურ ხალხთა, ისე ზოგიერთ აღმოსავლეთ ხალხის ცხოვრება, სადაც მამლარი მამაკაცები მხარს თეძოზე [illegible] დედაკაცები კი შრომით წელს იწყვეტენ. ბებელს თავის წიგნში „დედაკაცი და სოციალიზმი" მოჰყავს ერთი ჩრდილოეთელ ამერიკის ინდოელთა მეთაურის სიტყვა რომელმაც სთქვა: „დედაკაცი გაჩენილია სამუშაოთ მას იმდენი ტვირთის ზიდვა შეუძლია რამდენსაც ორი მამაკაცი ასწევს"-ო.

თვით ბუნებაში ცნობილია, თუ რამდენათ ეგოისტი და უდარდელია პირუტყვთა შორის მამალი; დედაკაცის ბუნებრივი სიუძლურე და სიზარმაცე კი არ მტკიცდება და ის კი მტკიცდება, რომ აღზრდისა და სპეციალური ცხოვრებით და შრომის დანაწილებით შესაძლებელია ორთავე სქესში ფიზიკური და პსიხიური სხვა და სხვაობის გამოწვევა. ამ მხრივ ერთობ საყურადღებოა პოტანინის სტატია „От Новгорода до Казани" შემდეგი ადგილი, რომელიც ნ. მიხაილოვსკის მოყავს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში. „Борьба за индивидуальность" ნიკოლსკის მაზრაში სწერს პოტანინი არსებობს ქვრივები, გაუთხოვარი ქალები რომლებიც ღებულობენ ნადელს (надѣлъ) იხდიან ხარჯს და მამაკაცებთან ერთად თვითონვე ამუშავებენ მას. ისენი ასრულებენ განსაკუთრებით ვაჟურ საქმეს, რომელთაც სახელად мужеподобныя-ს უძახიან. ასეთს ქალებს შეხვდებით ნოვგოროდის გუბერნიაშიაც. ამ ადგილებში, თუ ოჯახში ყველა გოგოებია ერთს მათგანს გლეხის ოჯახი მამაკაცის საქმისათვის ნიშნავს. მას ვაჟურად აცმევენ და თავის ტოლ-ბიჭებში თამაშობს, თუ სახელად

ელისაბედი ჰქვია ელისეიკას დაარქმევენ. შეხვდებით აგრეთვე წინააღმდეგს იმ ოჯახში, სადაც ყველა ვაჟებია ერთს მათგანს ქალურად გამოაწყობენ და ქალის საქმისათვის ნიშნავენ. ასწავლიან მას ქრას, კერვას, რთვას, ქსოვას და სხვას და ვაჟურ საქმეს ხელს სულ არ კიდებს. ასეთს ვაჟებს უნდა ვიფიქროთ **женоподобныя**-ს დაარქმევენ.

აი ასეთს გავლენას ახდენს თვით მოკლე ხანშიაც შრომის დანაწილება და სპეციალური ცხოვრება ადამიანზე და რა უნდა იყოს გასაკვირი, რომ მუდმივი მონური ცხოვრებით და განსაკუთრებული აღზრდა ჩვეულებით დედაკაცების ფიზიკური ძალღონე შესუსტებულიყოს და მამაკაცებს ჩამორჩენოდენ?

რაც შეეხება ფიზიოლოგიური თვალსაზრით ამ ორ სქესთა შორის ბუნებრივ განსხვავება რამდენათაც მას სქესობრივი განსხვავება იწვევს, ეს განსხვავება გამოიხატება მხოლოდ სქესობრივ კავშირში და არა გარეშე ამ კავშირისა მათ ბუნებრივ სულიერ სხვა და სხვაობაში, რადგან სქესობრივი განსხვავება სრულიადაც არ ასხვაფერებს ამა თუ იმ სქესის ადამიანურს მხარეს, რომელთაც ბუნებრივად ერთნაირად სწყურიად ამაღლება და უკეთესობა. ეს რომ ასე არ იყოს ერთისა და მეორეს სულიერი პიროვნება სრულიად გამოუცნობელი და გაუგებარი იქნებოდა ერთმანეთისათვის. ნამდვილად კი ჩვენ იმასა ვხედავთ, რომ ერთნაირ პირობებში აღზრდილს ქალ-ვაჟს შეუძლიათ არა მარტო სქესური კავშირის დაჭერა, არამედ თვით სულიერი მეგობრობაც ურთიერთ შორის. ამის მაგალითებით სავსეა, თვით ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, როგორც რევოლიუციონერთა, ისე მშვიდობიან მცხოვრებთა შორის. ამისათვის იმ ბიოლოგიური ფაქტების მიხედვით, რომელზედაც ა. ფულიე და სხვა ამტკიცებენ დედაკაცის ბუნებრივ პასიურობს და მამაკაცის ბუნებრივ აქტიურობას ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ შემდეგი: დედაკაცის ორგანიული კონსტრუქცია იმდენათ პასიურია, რამდენაც მეტია მასში პოტენციალური ძალა, რომლის გამო ბუნებრივათ მას შეუძლია მეტის ატანა და მეტი თავის დაჭერა, როგორც სულიერად ისე ფიზიკურად. მამაკაცები იმდენათ მოძრავია რამდენათაც ეგისტი, რომლის გამო ის ნაკლებ თავ-დაჭერილია და ნაკლების ამტანიც ბუნებრივათ. აქედან მამაკაცს აერთებს დედაკაცთან პირადი საჭიროება, მაშინ როდესაც დედაკაცი უერთდება მას როგორც პირადი ისე კაცობრიობის არსებობის საჭიროებისათვის ნორმალურ თანაბარ პირობებში რასაკვირველია და არა ერთისა თუ მეორის ანგარებითი ლტოლვაში. მაგალითისათვის ავიღოთ თვით შეყვარებული საქმრო საცოლოს სულიერი განწყობილება, როცა პირველი მხოლოდ თავის პირად ბედნიერებაზე ოცნებობს, მეორე ამ დროს ამ ბედნიერებასთან ერთად თავის მომავალ დედობასაც ითვალისწინებს. რომ ზნეობრივი ძალა მეტია დედაკაცში, ვიდრე მამაკაცში ეს ერთობ თვალსაჩინოა ყოველი გონიერი ადამიანისათვის, ვისაც ფხიზელი თვალი უჭირის და ერთსა და ორ მაგალითს არ გაასაზოგადოებს, ის აშკარად დაინახავს თუ რამდენი დაბრკოლების, რამდენი მწუხარების ატანა შეუძლია დედაკაცს, თვით უკიდურეს სულიერ მარტოობის დროსაც, მაშინ როდესაც მარტოხელი მამაკაცი ხშირად ნივთიერად უზრუნველ ყოფილი დიდს მწუხარებაში სრულიად იბნევა და ან ეძლევა თავ-დამავიწყებელს გართობას. რომელიც მას სულიერად და ფიზიკურად ამახინჯებს. ეს ზნეობრივი ძალთა სიჭარბე დედაკაცში, რომელსაც ვერ უარყოფენ თვით ავტორიტული მოწინააღმდეგენი ქალთა უფლებისა, როგორც ოგუსტ კონტი და პრუდონია გადმომდინარეობს მისი ალტრუისტული ბუნებიდან, რომელსაც ეგრე საჭიროებს, როგორც თავ შესაკავებლათ, ისე აღსადგენათ მამაკაცების ეგისტურად მოძრავი ხან კი მაღლი ძალღონე. აქედან რამდენათ დედაკაცისათვის ბუნებრივად ადვილია უმამაკაცოთ ცხოვრება, იმდენათ მამაკაცისათვის ძნელია უდედაკაცოთ არსებობა. ამის მაგალითი შესანიშნავათ დასურათებული აქვს ჩვენს ნიჭიერს მწერალ ქალს **მარიამ გარიყულს** ერთს თავის მოთხრობაში რომელიც ჩვენი გაზეთის მე 10—№—რში დაიბეჭდა.

„სულზე ხილი დაიდევ და სთქვი ეკითხება ახალგაზდა ლენტორი თავის მამას ვინ უფრო სძლებს უერთი მანეთოთ, ქალი თუ ვაჟი? ელისაბედი, რომ დაქვრივდა სამი ბალანეი დარჩა, ახალგაზდა ქალი იყო, არ გათხოვდა, სამი ქცევა ყანას ყოველთვის მუშაობდა, ბოსტანიც ჰქონდა, საქონელიც ყავდა, დახვეტილიც იყო მისას და დაწმენდილიც, კერა არ ჩაუქრია და დღეს შვილებიც წამოესწრო..

მაქსიმეი, რო დაქვრივდა მიაყარა ჩინჩამ დეიბზლილა, დეიბლილა, ბალნები მეზობლებში კნაოდა, ძროხა მგელმა დაუხია და ქათმები ტურამ წაზიდა.

ვინც იფიქრებს, რომ ეს ავტორის გამოგონილი ფანტაზიაა და არა სინამდვილე, ის ვერასოდეს ფაქტებს ანგარიშს ვერ გაუწევს. აქ ჩვენ გვყავს ერთსა იმავე პირობებში მყოფი ქალვაჟის ზნეობრივი ძალა და რომ ასეთ შემთხვევაში დედაკაცის სულიერი ძალა მამაკაცისას სჭარბობს ეს იმდენათ თვალ საჩინოა, რომ მებიუს კატენკა ფონ-რეზენები და კომპანია ვერ დაჩრდილავენ მას თავიანთი ყალბი არგუმენტებით. თუ რომ ასეთია ღირსება, ნაკლი ორთავე სქესისა, მაშ რომ აყარა დედაკაცს ადამიანური უფლება და რათ გახდა ის მონათ? ამაზე შემდეგ წერილში მოგილაპარაკებთ?

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება.)

სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე.

თავისუფლებისათვის დიდო მებრძოლო, რა ქუთაისის საერთო ქალთა ორგანიზაციის სახელიც თავს ვიხრი რა შენი წმიდა ცხედრის წინაშე, ვაღიარებ რომ დღეს ჩვენი სამშობლო მხარე, შენში ეთხოვება უკეთეს მამულიშვილს ხალხის საკეთილ-დღეოთ თავდადებულს მებრძოლს, რომლისათვის შეგიწირავს უკეთესი დღენი შენი სიცოცხლისა. კერძოთ ქართველმა ქალებმა დავკარგეთ შენში უძლიერესი მოსარჩლე ჩვენი უფლებისა და პატივისმცემელი ჩვენი ადამიანური ღირსებისა.

მწუხარება ჩვენი იმდენათ დიდია, რამდენათ მცირეა რიცხვი ჩვენი პოლიტიკური და მოქალაქური მონობის გულწრფელი მოწინააღმდეგეთა ჩაგრულთათვის თავ-განწირულო გმირო მებრძოლო, შენ იყავ უკეთესი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნისა, რომლის წინაშე შენი ხალხისა და სამშობლოს დამცირებას ვერ გაბედავდა თვით უკიდურესი მტერი ქართველობისა.

საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლზე.

რა ზომები უნდა მივიღოთ პროსტიტუციასთან საბრძოლველად.

პროფესორი Finger-ი ამბობს, რომ საჭიროა წარიხოცოს პროსტიტუტკის ბილეთზე „ტანმრთელია“ და მით მოისპოს ის დაბნეულობა, რომ პროსტიტუტკების შემოწმება იფარავს მამაკაცებს სნეულობიდან. თუ რამდენათ დიდია რწმენა ზედამხედველობაზე შემდეგიდან სჩანს. ზემო აღნიშნული ბრიუსელის კონფერენციაზე დ-რი levi-ი ამბობდა, რომ რეგლამენტაციის მოსპობაზე იტალიაში თვით პროსტიტუტკები ჩიოდენ, რომ მათ კლიენტები შემოელიათ მისთვის, რომ მამაკაცები ეჭვით უცქეროდენ მათ ტანმრთელობას და აშინებს მათგან სენის შეყრა. პროფესორი Troisfoutaine-ი ლიეჟიდან იუწყებოდა, რომ მას სტუდენტები, განსაკუთრებით უცხოელები შეჩიოდენ ზედამხედველობის ქვეშ მოქცეულ პროსტიტუტკების სიმცირეზე. დ-რი გირში პარიზიდან იუწყებოდა, რომ ახალგაზდებთან და მოწაფეებთან საუბარმა ის მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საროსკიპოებში მადიან დიდი რწმენით, რადგან ფიქრობენ, იქ იპოვნიან გარანტიას ტანმრთელობისათვის. პროფ. Petrini de qalatz ამბობდა, რომ საროსკიპოები ერთობ მიმზიდველია უმრავლესობისათვის. მოსწავლენი და ცოლიანებიც მას არჩევენ. 14 წლის ბიჭი თავისუფლად მიდის ასეთს ოჯახში და ღებულობს სენს. ერთი კონფერენციის წევრი იუწყებოდა, რომ შემოწმების დღეს საროსკიპოებში თავს იყრიან ახალგაზრდები და უცდიან მის დასრულებას, რომ დაუყონებლივ ისარგებლონ დედაკაცებით.

იურევიჩი იუწყებოდა, რომ ის იცნობს მამებს, რომელნიც ურჩევდენ თავის მოზრდილს ვაჟებს საროსკიპოში წასვლას და თვით მიყავდათ იქ. ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა მრავალი პირი, რომელნიც ამოწმებენ დიდს რწმენას საზედამხედველო პროსტიტუციაზე. მაგრამ, კმარა! ასეთი ფაქტები მეტად მძიმე გრძნობასა და აზრებს იწვევს. მებრალება მხოლოდ მოტყუებული მოსწავლე ახალგაზდობა, რომელნიც ეგრე დიდი ნდობით გამსჭვალულია საზედამხედველო პროსტიტუციაზე და იყრიან უცნაურს სენს. რამდენათ მათ ძვირად უღირთ ეს რწმენა, ამის მაჩვენებელია სიფილიტიკების დიდი პროცენტი. 24—50 პროცენტამდე რუსის სტუდენტებთა შორის და 25 პროც. გერმანელ სტუდენტებისა. მებრალება მამა, რომელსაც ეგრე დიდი რწმენა აქვს პროსტიტუტკის ყვითელ ბილეთზე და მიუძღვება თავის ვაჟს საროსკიპოში, სადაც უკანასკნელი კარგავს სულიერსა და ფიზიკურ ტანმრთელობას.

მე აღშფოთებული ვარ საქმოთ პოლიციური ზედამხედველობით, რომელიც ერთი მხრით ირწმუნებიან, რომ სიფილისი უცნაური სენია და იმ მიზნით, რომ დაიცვან მისგან ხალხი ისე ეპყრობიან ქალებს, როგორც პირუტყვებს, მხარს აძლევენ მათ ყიდვას, როგორც მონებისას, და მეორე მხრით აჯილდოვებენ ავათმყოფ და მათ ბატონობის ქვეშ მოქცეულ ქალებს ცრუ მოწმობით მათ ტანმრთელობაზე და მით ხელს უწყობენ ვენერიული სენის გავრცელებას. აღშფოთებული ვარ თვით ექიმ—სპეციალისტებზე, რომლებმაც დიდი ხანია რაც იციან, რომ შემოწმება არ აფრთხილებს სენის გადაცემას, მაგრამ მაინც განაგრძნობენ მამაკაცების მოტყუილებას პროსტიტუტკის ტანმრთელობის მოწმობით. მე მსურდა, რომ მამაკაცებს უფრო მეტი პატივი ეცათ თუ ჩვენთვის, ქალებისთვის არა, თავიანთ თავისთვის მაინც და მათი ტანმრთელობის გულისათვის მხარი არ მიეცათ ასეთი ზედამხედველობისათვის, ასეთი უმზგავსო ვაჭრობისათვის უპატრონო, უვიცი ახალგაზდა ქალიშვილებზე.

კითხვა: თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ პროსტიტუციას? რა უნდა ვქნათ მის მოსასპობლათ? წარმოადგენს უმაღლესათ დიად საკითხს. მასთან ბრძოლა საჭიროა თითეული ქვეყნის მომავლისათვის. პროსტიტუცია არის ნაშთი ყოფილი მხეცური დროისა, რომელიც ერთობ აფერხებს კაცობრიობის პროგრესს. ის ღუპავს ორთავე სქესის ახალგაზდობას თავის ყვავილოვან წლოვანებაში დაართმევს მათ სულიერსა და ფიზიკურს ტანმრთელობას, ამსხვრევს მათ ენერგიას და შრომის სიხალისეს. უკანასკნელი ყველაზე მეტად ეტყობა პროსტიტუტკებს და უფრო ნაკლებათ მათ კლიენტებს.

ძნელია ბრძოლა პროსტიტუციასთან, ის მჭიდროთ გადაბმულია გაბატონებულ ზნეობაზე, სოციალურ და ეკონომიურ პირობებზე თანამედროვე ცივილიზაციური ცხოვრებისა. უცნაური დამოკიდებულობა საზოგადოებისა ზნეობრივი საკითხთან კარგათ დასურათებულია რენანის მიერ, რომელიც ამბობს: „საზოგადოება, რომელიც იშვიათად მსჯელობს სიმართლით, მამაკაცის თავდაჭერილობაში, რაღაც სასაცილოს ხედავს, თუ რომ ასეთს თავდაჭერილობას არ ავალებს მას თავისი პროფესია. მღვდელი, რომელიც უნდა იყოს უბიწო, ისე როგორც ჯარისკაცი გულადი, თითქმის ერთად ერთია ქვეყნის აზრით, რომელიც სასაცილოთ არ უნდა გვეჩვენოს, თუ რომ მივიღებთ პრინციპს, რომელსაც მოხეტიალე მორალი და მოდა სასტიკ ომს უცხადებს!

რუსსო ამტკიცებს, რომ მამაკაცების გარყვნილება დამყარებულია საზოგადო შეხედულობაზე და არა ბუნებაზე. ახალგაზდა ვაჟები ეწევიან ბიწიერ ცხოვრებას არა მისთვის, რომ მათ ჰქონდესთ დაუძლეველი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, არამედ საზოგადო აზრის და მაგალითითა გავლენით. დააკვირდით,—ამბობს ის,—ჭაბუკს ახლათ ჩამოსულს პროვინციიდან პარიზში, რომელსაც მიუღია წესიერი აღზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო გრძნობას არ ჩაუკლავს შენში ის ბუნებრივი ეროვნულ თავ-მოყვარეობა, რომელსაც განიცდის ყოველი გონიერი და გულწრფელი ადამიანი თავის სამშობლო ქვეყნის ზნეობრივი სიყვარულით. ისე როგორც ეროვნულ გრძნობას არ აღუძრავს შენში სხვა ქვეყნისა და ხალხისადმი სიძულვილი და უპატივცემულობა.

შენ იყავი უკეთესი შუამავალი ჩრდილოეთ სამხრეთისა კულტურულად ევროპული, სულით რ ინდი ქართველი ამამოძრავებელი ჩვენი აზიური სიძაბუნისა და გამამხნევებელი ჩვენი გულგატეხილობისა.

ჭეშმარიტად დიდია დანაკლისი იმ პარტიისა, რომლის ბელადათ შენ ითვლებოდი და ჩვენც გულწრფელად თანაუგრძნობთ მას, იმ დიდ მწუხარებაში, რომელშიაც ის შენი დაკარგვით დღეს იმყოფება.

დიდო მებრძოლო, შენ არ გვხდა წილათ დამტკბარიყავი იმ ნაყოფის ხილვით, რომელიც შენ და შენი გმირი ჩრდილოეთის ამხანაგების ბრძოლამ გამოიღო.

შენს ხსოვნაში სიზმარივით გაიარა ამ დიდი რევოლიუციის ალმა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით და მსოფლიო სისხლის მორევში ნაშობმა თავისუფლებამ, რომ გეგრძნო ის სულიერი კმაყოფილება, რომელიც ეგრე სანატრელია ყოველი გულწრფელი იდეური მებრძოლისათვის და პროგრესიული მოღვაწეობისათვის.

სიცოცხლე შენი იმ დროს ეშვება ცივ ბნელ სამარეში, როცა ამოდის დიადი მზე ჩვენი ქვეყნისა! როცა ქართველი ხალხი და საქართველო მონობის ჯაჭვსა სწყვეტს, როცა ქართველნი ქალვაჟნი მოქალაქური უფლებით იმოსება, როცა ქართველი გლეხი, რუსის გლეხთან ერთად შენ მიერ გადმოსროლილს ლოზუნგს: „მიწასა და თავისუფლებას“ ბრძანებელი ხმით მოითხოვს,

აღსრულდა შენი ნატვრა, თავისუფალი საქართველოს თავისუფალ რუსეთთან ძმური კავშირი დღეს იჭედება.

დაგვირგვინდა შენი ღვაწლი და თუ აქ ძირს ჩვენთან ერთად ვერ დაინახე, ვერ მოისმინე ეს სანატრელი ხმა მაშვრალთ გულიდან ამონაყვირი, რომელიც ჩვენ მწარე სინანულით გვმოსავს, დე უძლურს სხეულს განშორებული შენი უკვდავი სული ციურ სივრციდან დასქესდეს და ისმენდეს მას მისალებათ აქ მიუღებელ კმაყოფილებისა.

შენ საპატიო ცხედარს კი, რომელსაც შენთვის თვალ ცრემლიანი და მადლობით აღვსილნი ქართველი მაშვრალნი ეგრე მოწიწებით სამარისაკენ მიატარებენ, გულ მიისვენებს თავისუფალი სამშობლო აქ, — დიდ-კაცთა სავანეში, რომელიც იმერეთის მიწამ თავის მრავალ ნიჭიერ შვილთა ღვაწლით სამართლიანათ დღეს გულზე აიგო.

მშვიდობით დიდო მებრძოლო და უკეთესო მამულიშვილო! თავისუფალი ქართველი ქალ-ვაჟნი შენს ნათელ ხსოვნას მარად პატივით მოიგონებენ.

კატო მიქელაძე.

ალ. კერენსკი.

შენ სურვილი აგისრულდა.. დაჰკრა ლხენის დაირას მზემ
და ბნელეთის დასანგრევად სხივოსანი დაირაზმენ.

— —

სამართალის ცეცხლ-ალმაღური აღარ ცხრება შაბათ-კვირას,
გარყვნილების მოედანი ამოიწვა განაპირას.

— —

რაში მიჰქრის ოქროს თვალა, მიაქროლებს ქვეყნის რაინდს,
მას მხედარი არ უსუსტებს შემოერტყას ჯარი რა გინდ.

— —

პიროვნება, რესპუბლიკა—აწერია იმის კალთას
და ვინც დროშას ჩამოუხევს, მას ჭაბუკი შეაკლავს თავს.

— —

მევობრებო, მასთან ვიყოთ დავანთხიოთ სისხლი მისთვის,
ვინც რუსეთი აამღერა ძმობისა და ერთობისთვის.

რაჟდ. ბობოხია.

ეკატერინე ბრეშკო-ბრეშკოვსკაია.

ეკატერინე ბრეშკო-ბრეშკოვსკაია თავისი შთამავლობით ეკუთნის უმაღლეს წრეს. ქალიშვილობის მისი გვარი არის ვერიგო. მისი სახელი გადამბულა „კიევის კომუნასთან,“ სადაც მან აქტიურად ფეხი შესდგა რევოლიუციონურს გზაზე.

საბრალდებულო ოქმი „193“-ის საქმისა შემდეგ ცნობებს გვაწვდის რევოლიუციის დიდი დედაზე: 1872 წ. მან გაიცნო მედიკო-ქირურგიული ფაკულტეტის სტუდენტი ვასილი თედორესძე ფიშერი. ზაფხულში მან მიიწვია ფიშერი თავის მშობლებთან მგლინსკის მაზრაში ჩერნიგოვის გუბერნიაში, სადაც ფიშერმა გაეცნო მომრიგებელ მოსამართლეს კოვალიკს. 1873 წ სეკტემბერში ფიშერი ბრეშკო-ბრეშოვსკაია და მისი და, ოლღა ივანოვა, აზნაური ბენეცკი და სტუდენტი ნიკოლოზ სუდზილოვსკი ქირაობენ ერთათ ბინას, სადაც წარმოიშვა „კიევის კომუნა.„ რომლის დიასახლისად ითვლებოდა ოლღა კონსტანტინეს ასული ვერიგო მეუღლე ივანოვისა, — ღვიძლი და ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას, რომელსაც გარკვეული მსოფლიო მხედველობა არ ჰქონდა, მაგრამ უმაღლესად კეთილი და გრძნობიერი ადამიანი იყო. წინააღმდეგ დისა ბრეშკო-ბრეშკოვსკაია ახალგაზდობის თანავე გატაცებული იყო მოწინავე აზრებით და სცდილობდა ყოფილიყო სასარგებლო ხალხისათვის. მე 70 წლების დასაწყისში ის ღებულობდა მონაწილეობას საერობო საქმეში მგლისკის მაზრაში და მისი თაოსნობით, დანგრევამდე მისულმა დემოკრატიულმა ერობამ ამოირჩია მომრიგებელ მოსამართლეთ კოვალიკი. საერობო საქმემ სრულიათ ვერ შთანთქა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას სულიერი მოსწრაფება; და განსაკუთრებით იმ დროს, როცა დარღვეული იქმნა მგლინსკის ერობა ის ეძებდა ახალს საქმეს, რომ შეეწირა მისთვის თავისი ძალა და ნიჭი.

მან დაიწყო ოცნება ფერმის მოწყობაზე, რომელიც უნდა გადაქცეულიყო მაგალითად სხვებისათვის და ისეთ ადგილად, სადაც მსურველთ შეეძლოთ შესწავლა რაციანალურ ოჯახობისა. ამ ოცნების განხორციელების შემთხვევაც მალე მიეცა მას. მისმა ბიძაშვილმა ალექსანდრა ილიას ასულმა ფილიპმა მიიღო მემკვიდრეობით თავის ბიძიდან

მისი აზრები წმინდა და პატიოსანია. ის ზიზღით უცქერის ბიწიერებას და საშიშროებას გრგვის მას გარყვნილება. მე ნიძლავს დავდებ თუ, რომ ის გადასწყვეტს და გაბედავს საროსკიპოში წასვლას, თუნდაც ის გრძნობდეს ფიზიოლოგიურს მოთხოვნილებას. რამოდენიმე თვის სატახტო ქალაქში ცხოვრებით ჭაბუკი ძნელი საცნობი ხდება. თავ-აშვებული მონერები, ხუმრობა თავის წინანდელს უცოდველობაზე და მაზე სირცხვილი—აი რას დავინახავთ ჩვენ მასში. საიდან წარმოიშვა ასეთი ცვლილება ასეთს მოკლე ხანში? რასაკვირველია, ეს მოხდა არა მისთვის, რომ ასეთი იყო მისი ბუნება. ასეთი გავლენა იქონია მასზე მისმა გარესკნელმა, რომელმაც შეცვალა მისი თვალთა ხედვა!!

მამაკაცების უბიწოებას დიდი მნიშვნელობა აქვს პროსტიტუციასთან ბრძოლაში. ჩვენ ზევით დავინახეთ, თუ რას ნიშნავს მათი თავ-აშვებულობა პროსტიტუციის არსებობისათვის.

განსაკუთრებით ამაზე უნდა ჩაფიქრდეს ინტელიგენციამ. უმაღლესი წრის ახალგაზდობა არის ნამდვილი შემომქმედი და მასაზრდოებელი პროსტიტუციისა“, ამბობს პროფ. Neisser-ი. შეიძლება თუ არა, რომ ახალგაზდა ხალხმა შეუღლებამდე შეინახონ უბიწოება?

ამაზე იძლევიან სადასტურო პასუხს. რუსსო ფიქრობს, რომ იმდენათ ვნება აქ არ თამაშობს დიდს როლს, რამდენათაც პატივმოყვარეობა, ანუ შიში, რომ არ გახდენ სასაცილო. მისი აზრით, ყმაწვილი ვაჟების ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაჭერა ყოველთვის შესაძლებელია. ის მიგვითითებს გერმანელებზე, რომლებიც მის დროს ოც წლამდე იჭერდენ თავიანთ ფიზიოლოგიურს ლტოლვას. და მისთვის, რომ ამ ხნოვანებაზე ადრე დაკარგულს უბიწოებას, იმ დროს გერმანიაში მამაკაცები სირცხვილათ სთვლიდენ. რუსო მოგვითხრობს ჩვეულებას ძველი საფრანგეთისას, სადაც ახალგაზდა ხალხი ამაზე გვიანაც ინახავდა უბიწოებას. მონტენის მამამ 33 წელს დაიწერა ჯვარი და იყო სრულიად უბიწო, თუმცა რამოდენიმე წელს ჯარშიაც მსახურებდა.

უწინ ის აზრი იყო გამეფებული, რომ თავშეკავება ახალგაზდა კაცისათვის მავნებელი იყო. ეხლა კი მრავალი გამოჩენილი პროფესორები სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ. აგრე ფიქრობს მაგალითად, პროფესორი რუბნერი, ვილენბურგი, კრაფტ-ებინგი, გრაგამი და სხვანი. მაშასადამე, წინანდელი ცრუ აზრი, რომ თავის შეკავება მავნებელი იყოს მამაკაცისათვის, ჩვენს დროში უარყოფილია. ამისათვის უმთავრესი საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ როგორი საშვალებით ვაიძულოთ მამრობითი სქესის ახალგაზდობა, რომ უარიჰყონ თავიანთი თავ აშვებული ცხოვრება.

უეჭველია, უმთავრესი როლი აქ უნდა ითამაშოს საზოგადო აზრმა. მოხელტიალე ზნეობამ და მოდამ, — ამბობს რენანი, — გამოუცხადეს ომი მამაკაცების უბიწოებას. იმის შიშით რომ სასაცილონი არ გახდენ, ისენი ეძლევიან გარყვნილობას. საზოგადო აზრი უნდა შეიცვალოს წინააღმდეგი მხრით. მან უნდა აიძულოს მშობლები და აღმზრდელები, მისცენ სხვანაირი აღზრდა ვაჟებს, რომელიც დაასწავლიდეს მათ თავიანთ ვნებათა მმართვას და გარყვნილების სასირცხოთ ჩასთვლის.

საზოგადო აზრმა მხარი უნდა მისცეს იმ უკეთეს ახალგაზდა ვაჟებს, რომელნიც ებრძვიან მამაკაცთა თავაშვებულ ცხოვრებას და ქმნიან ქორწინებამდე უბიწოთა საზოგადოებას.

ასეთი საზოგადოება არსებობს სხვა და სხვა ცივილიზაციურ სახელმწიფოში და მათ უნდა ახალისებდენ ყოველი საშვალებით, რადგან ისენი ხელახლათ ზრდიან ახალგაზდობას და ამზადებენ ნიადაგს პროსტიტუციასთან საუკეთესო ბრძოლისათვის.

ამბობენ, რომ ეხლანდელს დროში უბიწოთა საზოგადოება, ანუ როგორც მას ინგლისში ეძახიან „თეთრი ჯვრის საზოგადოება“ ხშირად ინგრევა. აქედან გამოყავთ ის დასკვნა, რომ მამაკაცისათვის შეუძლებელია უბიწოების შენარჩუნება ჯვრის წერამდე. მაგრამ ასეთი მოვლენა „თეთრი ჯვრის საზოგადოებაში“ სრულიად არ ამტკიცებს უკანასკნელის სიმართლეს. ეს ამტკიცებს მხოლოთ დღევანდელი საზოგადოების გულგრილობას. ასეთი დამარცხება სრულიად არ უკარგავს სასოებას იმ ახალგაზდობას, რომელიც ზიზღით უცქერიან ცოდვასა და გარყვნილებას. მათი ვაჟები, რომლებსაც ისენი საროსკიპოში არ გაგზავნიან და უკეთესად აღიზრდებიან, გამოიჩენენ უფრო მეტს სულიერ სიძლიერეს და რაც დღევანდელი ახალგაზდობისათვის გასაჭირია, უკეთესი აღზრდითა და საზოგადო აზრის შეცვლით ადვილი იქნება მომავალი თაობისათვის.

იმ ახალგაზრდების მისაშველებლათ, რომელიც ზიზღით უცქერის გარყვნილებას, უნდა გამოვიდენ ქალები, დედაკაცებმა უნდა გასწიონ აგიტაცია შეუღლებამდე მამაკაცების უბიწოთ დარჩენაზე და მით ხელი შეუწყონ ასეთი მიმართულებით საზოგადო აზრის შეცვლას.

ეხლაწდელს დროში მამაკაცები დიდი თავაზიანობით უცქერენ იმ ქალებს, რომლებმაც დაუშვეს შეცდომა თავის ცხოვრებაში. ამით ისენი ეპატიჟებიან ქალებს, ფეხი შესდგან იმ გზაზე, რომელზედაც თვითვე მიდიან. „თავისუფალი სიყვარული მშვენიერია, — ამბობენ მამაკაცები. გვიყვარდეს ერთმანეთი სანამ სიყვარულია. და მერმეთ გავშორდეთ და ვეძიოთ სხვა სიყვარ ლი. მე შენ გაპატიებ და შენ

მამული „გორიანი" პოლოცკის მაზრაში, ვიტებსკის გუბერნიაში. 1873 წ. ნოემბერში ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ მიიღო წერილი, სადაც თავის ბიძაშვილი შესჩიოდა მას თავის მარტოხელ მდგომარეობაზე და მამულის გაძღოლის შეუძლებლობაზე. ის საჩქაროთ გაემგზავრა ვიტებსკის გუბერნიაში და მიიპატიჟა ფიშერიც. უკანასკნელი გაეცნო რა საქმეს მიიდა იმ დასკვნამდე, რომ „გორიანში" მოუხერხებელი იყო ისეთი ფერმის მოწყობა, როგორც მათ სურდათ. მისი აზრით ეს მამული უნდა გაეყიდათ, იყიდათ სხვა უფრო პატარა და მორჩენილი ფული შეენახათ ბრუნავ კაპიტალად არტელისათვის. არც ერთი ეს არ მოხერხდა, ფიშერი დაბრუნდა უკანვე კიევში, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია პეტერბურგში, სადაც შევიდა დამოკიდებულობაში იქაურ ჯგუფებთან. მარტში ბრეშკო-ბრეშკოვსკაია უკანვე ბრუნდება „გორიანში", სადაც მასთან ერთად გაემგზავრენ: კამლიცი, როგაჩევა, ცვინგვა და ტიტელმანი. 1874 წ. მთელი ეს კომპანია გადმოვიდა კიევში და მრავალი მათგანი დაბინავდა „კომუნაში". ამ დროს ეს „კომუნა" სრულ რევოლიუციონურს ხასიათს ღებულობდა. 30—ამდე მას უკვე წევრი ყავდა. ჯგუფმა მიიღო ბაკუნინის პროგრამა. დებაგორი-მაკრიევიჩის სიტყვით, თუ როგორ უნდა განეხორციელებიათ ეს პროგრამა პრაქტიკულად არ იყო გადაწყვეტილი არც პეტერბურგის ჯგუფის მიერ და არც კიეველებისა[illegible]ან. ისინი შეჩერდენ იმ აზრზედ რომ საჭირო იყო თავდაპირველად ხალხში წასვლა გლეხთა ცხოვრების ახლოს გასაცნობად და შემდეგ გაერკვიათ ერთად პრაქტიკული მხარე საკითხისა.

ამ მიზნით გადაწყვეტილი იყო მოეწყოთ 1874 წ. ყრილობა პეტერბურგში, სადაც თავი უნდა მოეყარათ ყველა „შემბოხეთა" ჯგუფების წარმომადგენელთ. ამ დღიდგან „კომუნამ დაიწყო გზავნა ექსპედიციისა სხვა და სხვა ადგილებში განსაკუთრები დნეპრის არემარეში.

შეიძინეს გლეხების ტანისამოსი გეოგრაფიული ქარტები, რევოლიუციონური შინაარსის წიგნები, რომელსაც ღებულობდენ კონტრაბანდის გზით საზღვარ გარეთიდან. იყო დამზადებული მრავალი ყალბი პასპორტები გლეხებისა, რომელსაც ამზადებდენ: ლარიონოვი, სტეფანოვიჩი, გარინოვიჩი და ფიშერი ნივთიერი შეძლება კომუნისა ერთობ შეზღუდვილი იყო. ყოველ დღიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ კომუნის წევრებს თვითვე შექონდა, იმდენი რამდენიც შეეძლოთ. „კომუნას" ეხმარებოდა ბენიცკი ერთი ყველაზე უფრო შეძლებული წევრთაგანი, „კომუნას" უწევდენ დახმარებას პეტერბურგიდანაც. 1874 წ. კომუნის წევრები სხვა და სხვა მხარეს გაიფანტენ. სტრონსკი და ჩერნიშევი გაემგზავრენ პოლტავის გუბერნიაში. სტრონსკისა და როგაჩევის მეუღლენი შევიდენ მომუშავეთ კიევის მახლობელ მამულში. რომელიც ეკუთნოდა კიევ—პეჩორის მონასტერს. დებაგორი - მაკრიევიჩი რკინის გზის მუშათ წავიდა სტეფანოვიჩი, კოლენკინი და ბრეშკო — ბრეშკოვსკაია კოსუნში. იქედან რევოლიუციის დიდი დედა შეუდგა მარტო მოგზაურობას. ის ცხოვრობდა უბრალო გლეხი ქალის პასპორტით, ბინადრობდა ქოხში იცვამდა, ისე როგორც გლეხის ქალი და ცხოვრობდა როგორც სრულიად უბრალო დედაკაცი. მან მთელი 4 თვე იმოგზაურა ასეთი სახელით და ამ დროს განმავლობაში მან უკვე სამი გუბერნია ჩამოიარა: კიევის ხერსონისა და პოდოლსკის. უკრაინელი ენა მან არ იცოდა და ამისათვის თავი მოჰქონდა ველიკორუსის ქალათ. და იმესობოდა ისე როგორც რუსის გლეხის ქალი! ის არ სცდილობდა ეხმარა გლეხი ქალის საუბარი და მხოლოდ ხან და ხან გაურევდა წმინდა ხალხოსნურს გამოთქმას. თითქმის ყველგან მას იცნობდენ გლეხები, როგორც წერა კითხვის მცოდნე ქალს და ბევრით ქვეყნების მნახველს. ბრეშკო -ბრეშკოვსკაია ხედავდა, რომ წერა კითხვის ცოდნა დიდს ავტორიტეტს აძლევს გლეხებში მცხოვრებ ადამიანს და დაფხიზელი და ღირსეულად თავის დამჭერი ქალი სარგებლობს განსაკუთრებელი პატივისცემით.

არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გლეხები დაეჭვებულიყვენ მის შთამომავლობაზე. ისინი ყურადღებას არ აქცევდენ, რომ ტიტველი ფეხები მოგზაურ ქალისა იყო თეთრი, და ხელები ნაზი, რომ მასში ნაკლებ განვითარებული იყო ფიზიკური ძალა და ორი ვედრო წლის ერთად ტარების ნაცვლად მოჰქონდა ერთი და ისიც ხელით. არც იმას აქცევდენ ყურადღებას, რომ ის ყველაზე უფრო გვიან იღვიძებდა და არ იცოდა ფეჩის მოვლა. არც მისი წლოვანება როცა ბრეშკო — ბრეშკოვსკაიას თავი 40 წლისად მოჰქონდა, მაშინ როდესაც ის 30 წლის იყო ბადებდა მათში ეჭვს. ის ხალხის წინაშე მოხელე ქალათ ითვლებოდა, რომელიც ხან ღებავდა, ხან კერავდა და ხან ქარგავდა.

ხან და ხან ის თავის თავს ფართლის დამტარებელს უწოდებდა და რადგან მას ფართალი თან არა ჰქონდა ამბობდა, რომ მიდის მის მისაღებათ სხვა კუთხეში და ან მოელის ამხანაგებს შესახვედრად. ის უმთავრესად დიდს სოფლებში და დაბებში მოგზაურობდა. პირველად მან ცოტა ყურადღება. მიაქცია მას, თუ როგორ ხალხში მოუხვდებოდა ცხოვრება და საქმის დაჭერა. და იქ შეხვდა ბინადრობა, სადაც უფრო ცუდი პირობები იყო პროპაგანდის გასაწევად.

ისეთი იყო სოფელი ბელოზერია, რომლიდანაც ის სმელაში გადავიდა, სადაც რუსების ახალიშენი იყო, რომლის მცხოვრებნი ქარხნებში მუშაობდენ. მალე მან მიიღო ამხანაგებიდან ცნობა, რომ ფაბრიკის ახლო მისი ცხოვრება იციან ჟანდარმებმა და გადწყვეტილი აქვთ მისი დაჭერა. ასეთი წერილის მიღების შემდეგ მან მსწრაფლ დასტოვა ეს ადგილი, სადაც ის ერთი თვის განმავლობაში ცხოვრობდა და გაემგზავრა ჩიგირინში. აქ ბრეშკო—ბრეშკოვსკაიამ შეკრიბა ცნობა ჩიგირინის ბუნტის შესახებ, რომელმაც მიიქცია ყურადღება სტეფანოვიჩისა და დებაგორი--მაკრიევიჩისა და სხვა „კომუნის" წევრთა. აქედან ბრეშკო — ბრეშკოვსკაია გადადის სხვა დაბებში. ბოლოს მივიდა ერთ სოფელში სამხრეთ რუსეთისა, სადაც ცხოვრობდენ შტუნდები ერთი იმ დროს ახლათ წარმოშობილი სექტა. მას ბევრი კარგი გაეგონა მათ შესახებ. თვითონ გლეხები, რომლებიც არა კეთილი თვალით უცქერდენ ახალ სწავლას, მათ შესახებ ცუდს ვერას ლაპარაკობდენ და ეძახოდენ შტუნდისტებს კეთილთ, შრომის მოყვარეთ და ფხიზელ ხალხს. ჩავიდა თუ არა ამ სოფელში ბრეშკო — ბრეშკოვსკაია შეჩერდა ერთს მართლმადიდებელ გლეხის ქოხში. იქ მან გამოიკითხა სეკტანტების ვინაობა, რომელზედაც მასპინძელმა უპასუხა შემდეგი;

— აი აქ, ჩემს გვერდით ცხოვრობს მათი სარწმუნების კაცი. ის გლეხია და ერთობ პატიოსანი ბეჯითი მუშა, მხოლოთ თავისი სარწმუნოება სწამს. და დაინახავს თუ არა ახალ ადამიანს ის დღე და ღამე ემუსაიფება მას თავის სარწმუნებაზე და ცდილობს თავის მხარეზე გადმოიყვანოს.

მეორე დილით ბრეშკო —ბრეშკოვსკაია თავისი საქარგავით გაემგზავრა ნაჩვენებ ეზოსაკენ.

(შემდეგი იქნება)

პატიე. ნუ შევაწუხებთ ერთმანეთს".

მაგრამ ქალებს არ შეფერის ამ გზაზე სიარული და უნდა სიმტკიცით მოითხოვონ, რომ მამაკაცებმა დაისწავლონ თავის დაჭერა და თავი დაანებონ ქალების ცვლას, ისე, როგორც ხელთაათმანებისას. თუ რომ ქალები დაიწყებენ უწესო ცხოვრებას, საზოგადოებას ელის დაბრუნება მხეცურ მდგომარეობისაკენ, როცა ქალ-ვაჟნი, როგორც პირუტყვები ერთდებოდენ და იყრებოდენ და არა ხედავდენ ასეთს კავშირში არავითარ საურთიერთო ზნეობრივ მოვალეობას. *).

ექიმი მ. ი. პაკროვსკაია.

(შემდეგი იქნება.)

---

*) ასეთს კავშირის მგალობლებია „ცასფერი ყანწების'' მგოსნები, რომელნიც ამ დიდი რევოლიუციის ქარტეხილში ჩვენს დაბა-ქალაქებში პარადებს მართავენ (და რომელთ ქება-დიდებას „ფრანც მოღრი''— [illegible] თანამოაზრე „ჩვენი ქვეყნის'' ფაქტიური რედაქტორისა, ამავე გაზეთში გაჰყვირის.

მე ვამბობ, თანამოაზრე, რადგან ბ. რედაქტორი მხოლოდ თანამოაზრეთ უბეჭდავს ფსევდონიმით წერილებს.

საინტერესოა, კიდევ, რამდენი ახალ „ცისფერი ყანწელების'' მადიდებელნი „ნ. [illegible]ბზე, რომ იმედი ვიქონიოთ მათ მი[illegible] საქართველოს აღდგენა-განახლებაში.

ჟურნალ გაზეთებიდან

მონასტრის დანგრევა

ბულგარელებმა ყოვლად უმიზეზოთ დაანგრიეს მინისტერი. ცეცხლმა 4 ქალაქი იმსხვერპლა. ბულგარელთა სიმხეცეს მათი სერბ[illegible]ძულით სხნიან.

ესად პაშის ჩამოსვლა

ალბანიის მმართველი ესად—პაშა ათონში ჩამოვიდა

პარიზი

სამოსამართლო მედიკური პროტოკოლი უარსაჰყოფს „Bonnet Bouqe"-ის რედაქტორის ესპანელი ალმერეიდის, რომელიც ციხეში გრდაიცვა, რომ ის ძალით მოკლული იყოს. და ამტკიცებს თვითმკვლელობას. ვივიანმა ციხის მოსამსახურენი პასუხის გებაში მისცა ტყვეზე უყურადღებობისათვის და ცრუ მოხსენებისათვის.

ლონდონი

მაღაროებში მუშათა ფედერაციის დელეგატებმა თავიანთ კრებაზე 7 აგვისტოს ლონდონში, გამოიტანეს რეზოლიუცია წინაღმდეგ ბრიტანიის მუშათა პარტიისა სტოკჰოლმის კონფერენციაზე დელეგატების გაგზავნაზე.

ლონდონი.

300 ტრედ-იუნიონთა წარმომადგენელმა მხარი მისცეს მეზღვაურებისა და კაჩეგრების საზოგადოების გარდაწყვეტილებას, რომ არ გადაიყვანონ დელეგატები სტოკჰოლმის საზაო-კონფერენციაზე.

დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების არჩევნების საორგანიზაციო კომისისის თავმჯდომარეთ აირჩიეს ნ. Е. ავინოვი.

ვ. ი. ლებედევის ატსტავკა

8 აგვისტოს საზღვაო სამინისტროს მართველი ვ. ი. ლებედევი სამსახურიდან გადადგა.

მილიუკოვისა და ჩერნოვის საქმე

მილიუკოვისა და ჩერნოვის საქმე, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ირაკლი წერეთელი მოსკოვის თათბირის შემდეგ გაირჩევა.

ახალი ამბავი.

ავათმყოფობანი

აგვისტოს 8—დან 16—მდის ქუთაისში ავათ გახდა ტიფით 4, მოკვდა 2, მუცელათი 6, მოკვდა 1.

ცენზურა წერილებზე

◆ შინაგანი და სამხედრო მინისტრის განკარგულებით კერძო წერილებზე და ტელეგრამებზე სამხედრო ცენზურა წესდება.

წერილების გადაგზავნის შეწყვეტა

◆ გერმანელთა მიერ დაპყრობილ ადგილებში წერილების გაგზავნა სამხედრო შტაბმა აკრძალა.